დამატებითი ხელშეკრულების ცვლილება #2

წინამდებარე ცვლილება #2 (შემდგომში, „*ცვლილება*“) დაიდო შემდეგ მხარეებს შორის:

1) **საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახური** (შემდგომში, „***შემოსავლების სამსახური***“ ან „***შს***“), რომელიც წარმოდგენილია გიორგი თაბუაშვილის მიერ,

და

2) **SICPA Security Solutions SA** (შემდგომში, „**SICPA**“) შვეიცარიის კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული კომპანია, რომლის იურიდიული მისამართია: ფლორისანტის გამზირის #41, 1008, პრილი, შვეიცარია, რომელიც წარმოდგენილია გიორგი ჯიქიას მიერ,

3) **შპს სიქპა სიქურითი სოლუშენს ჯორჯია** (შემდგომში, „**SICPA Georgia**“, **SICPA** და *შემოსავლების სამსახური* ერთობლივად მოიხსენიებიან როგორც **„მხარეები“**) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული კომპანია, რომლის იურიდიული მისამართია: მარჯანიშვილის ქუჩა #6, თბილისი, საქართველო, რომელიც წარმოდგენილია გიორგი ჯიქიას მიერ.

ვინაიდან:

(ა) *მხარეებმა* 2015 წლის 19 ოქტომბერს გააფორმეს *დამატებითი ხელშეკრულება* (შემდგომში, „***ხელშეკრულება***“);

(ბ) 2016 წლის 22 მარტს, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ დაამტკიცა ბრძანება #55, 2010 წლის 31 დეკემბრით დათარიღებული ბრძანება #996-ში ცვლილებების შეტანის შესახებ, რითაც SICPA Georgia-ს მიერ მიწოდებული სერვისების გადახდის პირობითი პროცედურის ვადა გაგრძელდა 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით (შემდგომში, „***დროებითი პროცედურები***“);

Amendment #2 to the Addendum Agreement

This Amendment #2 ("Amendment") is entered into by and between:

1) **LEPL Revenue Service of the Ministry of Finance of Georgia** (hereinafter referred to as the "Revenue Service" or "RS") represented by George Tabuashvili,

and

2) **SICPA Security Solutions SA** (hereinafter referred to as "**SICPA**") a company incorporated under the laws of Switzerland having its registered office at 41 avenue de Florissant, 1008 Prilly, Switzerland, represented by George Jikia.

and

3) **SICPA Security Solutions Georgia LLC** (hereinafter referred to as "**SICPA Georgia**" together with SICPA and RS, the "**Parties**"), a company incorporated under the laws of Georgia having its registered office at 6, Marjanishvili Street, Tbilisi, Georgia, represented by George Jikia.

WHEREAS:

(A) On October 2015 the Parties entered into the Addendum Agreement (hereinafter referred to as the "**Agreement**");

(B) On March 22, 2016, the Ministry of Finance of Georgia issued Order #55, on amendments to Order # 996 of December 31, 2010, extending the effectiveness of the provisional procedure for payment for the services being provided by SICPA Georgia to December 31, 2016 (the "**Provisional Procedures**");

(გ) 2015 წლის 30 დეკემბერს *მხარეებს* შორის გაფორმდა *ხელშეკრულების* ცვლილება #1 (*ცვლილება #1*), რითაც *დროებითი პროცედურების* მოქმედების ვადა განისაზღვა 2016 წლის 1 აპრილამდე;

(C) On December 30 2015 the Parties entered into Amendment #1 to the Agreement (the Amendment #1) stipulating the effective term of the Provisional Procedures to be April 1, 2016;

ამგვარად, *მხარეები* შეთანხმდნენ შემდეგზე:

NOW THEREFORE, the Parties hereto agree as follows:

1. ნებისმიერი ტერმინი, რომელიც დახრილი ფონტით იქნება აღნიშნული თუ ის სხვაგვარად არ არის განსაზღვრული წინამდებარე *ცვლილებით* გამოიყენება იმ მნიშვნელობით, რომლითაც ის მოცემულია *ხელშეკრულებაში*;
2. მიუხედავად *ხელშეკრულებაში* აღნიშნულისა, *მხარეები* წინამდებარით აგრძელებენ ხელშეკრულების და მასში აღწერილი *დროებითი პროცედურების* მოქმედების ვადას 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
3. აღნიშნული მიზნებისათვის
    a. *ხელშეკრულების დანართ ა-ს* მე-2 პუნქტში არსებული მითითება 2016 წლის 1 იანვარზე (ცვლილება #1-ს თანახმად 1 აპრილზე) შეიცვალოს 2017 წლის 1 იანვრით;
    b. *ხელშეკრულების დანართ ა-ს* მე-8 პუნქტში არსებული ყველა მითითება 2015 წლის დეკემბრის თვეზე (ცვლილება #1-ს თანახმად 2016 წლის მარტზე) შეიცვალოს მითითებით 2016 წლის დეკემბრის თვეზე;
4. *მხარეები* თანხმდებიან რომ წინამდებარე *ცვლილების* სავარაუდო ღირებულება არის 6,500,000 ლარი დღგ-ს ჩათვლით იმის გათვალისწინებით რომ 1,000 ცალი *დამცავი ნიშნის* ფასი განისაზღვრება როგორც 10 ლარი დღგ-ს გარეშე.
5. *მხარეები* ადასტურებენ რომ *ხელშეკრულების* ყველა სხვა პირობა უცვლელია და ძალაში რჩება.
6. წინამდებარე *ცვლილება* განიხილება როგორც

1. Any capitalized terms not otherwise defined herein shall have the meaning ascribed to them in the Agreement;
2. Notwithstanding anything contained in the Agreement, the Parties hereby extend effectiveness of the Agreement and the Transitional Provisions as described in the Agreement to December 31, 2016.
3. For the purposes of the same
    a. The reference to January 1, 2016 (to April 1 as per Amendment #1) in section 2 of Annex A of the Agreement shall be replaced with the reference to January 1, 2017;
    b. All references to the month of December 2015 in section 8 of Annex A of the Agreement 2016 (to March 2016 as per Amendment #1) shall be replaced with the reference to the month of December 2016;
4. The Parties agree that the approximate monetary value of this Amendment is GEL 6,500,000 including VAT based on the price of 1,000 Secure Marks being set at GEL 10 excluding VAT
5. The Parties confirm that all other provisions of the Agreement remain in full force and effect.
6. This Amendment shall be treated as integral part of

ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი და, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც წინამდებარე *ცვლილებაში* სხვა რამ არის აღნიშნული, *ხელშეკრულების* ყველა პირობასა და ნორმას აქვს იურიდიული ძალა *mutatis mutandis.*

the Agreement and unless otherwise stipulated herein, all terms and the provisions of the Agreement shall apply hereto *mutatis mutandis.*

წინამდებარე *ცვლილება* ძალაში შედის ქვემოთ აღნიშნული ბოლო ხელმოწერის თარიღზე:

This Amendment enters into force as of the latest signature date as recorded below:

[წინამდებარე გვერდის დარჩენილი ნაწილი განზრახ არის დატოვილი ტექსტის გარეშე]

[the remainder of this page is left blank intentionally]

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახურის სახელით	
ხელმოწერა ..... სახელი და გვარი: გიორგი თაბუაშვილი თანამდებობა: შემოსავლების სამსახურის უფროსი თარიღი: 30 მარტი, 2016	

Signed for and on behalf of **LEPL Revenue Service of the Ministry of Finance of Georgia**	
Signature ..... Name: Giorgi Tabuashvili Position: Head of Revenue Service Date: March 30, 2016	

SICPA Security Solutions SA-ს სახელით	**SICPA Security Solutions Georgia LLC**-ს სახელით
ხელმოწერა ..... სახელი და გვარი: გიორგი ჯიქია თანამდებობა: უფლებამოსილი წარმომადგენელი თარიღი: 30 მარტი 2016	ხელმოწერა ..... სახელი და გვარი: გიორგი ჯიქია თანამდებობა: დირექტორი თარიღი: 30 მარტი 2016

Signed for and on behalf of **SICPA Security Solutions SA**	**Signed** for and on behalf of **SICPA Security Solutions Georgia LLC**
Signature ..... Name: George Jikia Position: Authorized Representative Date: 30 მარტი 2016	Signature ..... Name: George Jikia Position: Director Date: 30 მარტი 2016